82-93:821.353
ჭ 31

მარიჯან

# მზიური ქვეყნის ბავშვები.

82-93:821.353.1-32
ქ 31

მარიჯან

# მზიური ქვეყნის ბავშვები




K 267091/1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საგლიტგამი
თბილისი
1949



## როგორ გავაგებინო?

ოთახში არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო. არ ისმოდა სკამების რახარუხი, ფეხების ბაკუნი, ქაღალდის შრიალი და ბურთის ბაგაბუგი.

დედამ ყური მიუგდო.

— გუგა, სად ხარ?

ბავშვი ხმას არ იღებდა.

დედამ ოთახში შეიხედა.

გუგა მოწყენილი და ჩაფიქრებული კუთხეში მიმჯდარიყო.

— გუგა, რა დაგემართა? რას ჩაფიქრებულხარ?— შეეკითხა დედა.

— დედა, როგორ უნდა გავაგებინო ძია სტალინს, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარს!

— მაინცდამაინც რად გინდა, რომ გააგებინო?

— მინდა, რომ მეც ვუყვარდე!

— სტალინს ყველა ბავშვი უყვარს, და მათ შორის შენც.

— არა, მე მინდა ნამდვილად, აი, მე,—გუგა—ვუყვარდე!— აჟინებით ამბობდა ბავშვი.

— მაშ, თუ ეგრეა, ძალიან კარგად უნდა ისწავლო, სამშობლოს უნდა გიყვარდეს, გმირი უნდა გახდე, ძია სტალინი ამას გაიგებს და უეჭველად ეყვარები!

ანუგეშებდა ბავშვს დედა.

— კარგი! — დაეთანხმა გუგა. — მე ახლავე მოვიტან ჩემს კუბიკებს, ანბანს და დავიწყოთ სწავლა!

გუგამ გამალებით გამოაღო თავისი კარადა, გადმოიღო მოძრავი ანბანი, რომელსაც მანამდე ხელს არ აკარებდა და შეუდგა ანბანის სწავლას.





# „ბევრზე-ბევრი“

გოგიას ძალიან უყვარს ხილი, ტკბილეული, განსაკუთრე-ბით კი გოზინაყი. თუ რამეს მოჰკრა თვალი, აღარ არის მო-სვენება. რაც არ უნდა მისცეთ, მაინც „ბევრს“ თხოულობს.

— ბები, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი!

— ბები, მომე თხილი! ბევრი თხილი! სავსე მუჭა!

— ბები, მომე ბევრი, ბევრი კამფეტი!

ერთხელ ბებიამ ჩაისვა გოგი კალთაში და ეუბნებოდა:

— გოგი, მე ძალიან არ მომწონს, რომ შენ მაგისთანა ხარ-ბი ხარ! რა ამბავია, რომ პირზე მხოლოდ „ბევრი“ და „ბევ-რი“ გაკერია! აბა, ვნახოთ, რა გაქვს ბევრი.

თავი — ერთია!

ხელი — ორი!

შუბლი — ერთი!

თვალი — ორი!

ფეხი — ორი!
ხომ ხედავ, ყველაფერი ან ერთი გაქვს, ანდა ორი!
გოგია დაფიქრდა.
— მე თმები მაქვს „ბევრზე-ბევრი!!“
ბებიას გაეცინა და ისევ ბევრი თხილი მისცა.





## მანანა

მანანას ძალიან უყვარს კოცნა. თუ ვინმე მოეწონა, მოეხვევა და ჰკოცნის.

პატარა ბაჯბაჯა მანანა სტუმრად მიიყვანეს ნათესავთან. იქ დიდი სარკე იდგა. მანანამ პირველად ნახა დიდი სარკე. სარკეში რომ თავისი თავი დაინახა, მოეწონა, საკოცნელად წაეტანა და ცხვირი მიარტყა შუშას.

მანანას ეტკინა ნოლა ცხვირი და მწარედ ატირდა.

მერე მტირალა ბავშვს რომ მოჰკრა თვალი, უცბად შეჩერდა.

— რად ტირის? — გაოცებით იკითხა მანანამ.

უფროსებს გაეცინათ და ხელში აიყვანეს.

მაგრამ მანანა ძირს იწევდა. როცა დასვეს, კარადას შემოურბინა, ეძებდა გოგონას და ხელახლა მორთო ტირილი.

— სად არი? სად არი ბაია?





## ერთი თვალით!

ლეოს არ უნდოდა მარტოდ ყოფნა საწოლ ოთახში.

— დედა, მარტო არ დამტოვო! შენც აქ იყავი!

— დაიძინე, ჩემო ბიჭიკო! დაიძინე, უეჭველად აქ ვიქნები!

— ამშვიდებდა დედა პატარა ლეოს.

— ვიცი, გამეპარები!

— რად გგონია?

— აი, გუშინ, მამა გამეპარა თეატრში. დამაძინა და თვითონ წავიდა... ახლა ვეღარ მომატყუებთ... დავიძინებ და ერთი თვალით მაინც გიყურებ, რომ არ გამეპარო!..

დედას გაეცინა.

— რატომ არ გინდა დამიჯერო! სცადე, დაიძინე!

ლეო ხუჭავდა თვალებს და მალიმალ ახელდა, რომ დედა დაენახა და საბავშვო ბაღის ამხანაგებზე ეამბნა.

— ლეო, ეგრე არ შეიძლება. თვალები უნდა დახუჭო და ჩუმად იყო, რომ ძილი მოგივიდეს.

ლეოს ახალი საბაბი მიეცა.

— არა, ერთ თვალს მაინც არ დავხუჭავ, უნდა დავინახო ძილი როგორ მოდის.





## ბეჰემოთი

საბავშვო ბაღის აღმზრდელმა თავისი ჯგუფი ზოოპარკში წაიყვანა, მათ შორის იყო არჩილიც.

შინაურები მოუთმენლად ელოდნენ ბავშვის დაბრუნებას, რა შთაბეჭდილებით მოვიდოდა შინ.

მაგრამ არჩილი ძალიან უკმაყოფილო დაბრუნდა.

როგორც კი გაიხადა პალტო, მივარდა თავის უფროს ძმას გურამს და ცემა დაუწყო.

გურამი გაშტერებული იყო.

— ბიჭო, იმიტომ კი არ წაგიყვანეს სამხეცეში, რომ გამხეცდე, — იგერიებდა გურამი არჩილს.

— დედა, უთხარი რამე არჩილს, მე შინ ვიყავი, ეს სეირნობდა და კიდევ მე მცემს! რა სამართალია!

მაგრამ არჩილი არ ცხრებოდა და მაინც ძმისაკენ იწევდა.

— ეგ რა ამბავია!—გაუჯავრდა დედა—რას ერჩი, სად გაგონილა, რომ ძმა ძმასთან ვერ მორიგდეს?! რა დაგიშავა, რომ სცემ?

— მე მაგან ზამთარში მითხრა „ბეჰემოთი“ ხარო.

— მაშინ ხმა არ ამოგიღია, და ახლა მცემ, ეგ სადაურია! — გაეცინა გურამს.

— მე რა ვიცოდი, როგორია ბეჰემოთი! დღეს ვნახე და იმიტომ გცემ.— თავს იმართლებდა არჩილი.





## შენიღბული გემი

ერთხელ გია გულმოდგინედ რაღაცას ხატავდა. მერე ბების მიუტანა თავისი ნახატი.

— ბები, ბები, ნახე როგორი ზღვა დავხატე!

ბებიმ ჯერ ახედ-დახედა ქაღალდს, მერე სათვალეებიც გაიკეთა და სინათლეზე დაუწყო სინჯვა. მაგრამ მაინც ვერაფერი გაარჩია. ხაზები ისე იყო ერთმანეთში გადახლართული, რომ ძნელი იყო გამოცნობა, ზღვა იყო თუ ძაფის აწეწილი გორგალი!

— რა ვქნა, გია! მე ვერაფერს ვერ ვარჩევ. — უთხრა უკმაყოფილოდ ბებიმ.

— როგორ თუ ვერ არჩევ? აქ ზღვაა! და ზღვაზე ჩვენი გემია!

— რა ვქნა, გია! სათვალეებიც მიკეთია და გემს მაინც ვერ ვამჩნევ! — ებოდიშებოდა ბები.

— რა კარგია! რა კარგია! — გიას თვალები გაუბრწყინდა — მეც ეგ მინდოდა! მეც ეგ მინდოდა! ბები, გესმის, ზღვაზე ღამეა, ბნელი ღამე! გემიც შენიღბულია, რომ ფაშისტებმა ვერ დაინახონ. ისე მიეპარება ღამით გერმანელებს, რომ ვერაფერს ვერ გაიგებენ.

გახარებული გია ტაშს უკრავდა, ნახატს აფრიალებდა და ბებიას გარშემო კმაყოფილი დახტოდა.





## როცა წვერულვაშიანი იქნები!

ვახტანგის პაპა გვიან ბრუნდებოდა სამსახურიდან და ყოველდღე მარტო სადილობდა.

ვახტანგს იზიდავდა უფროსების სუფრა. აქ იყო ღვინო, წნილი, თუშური ყველი, საწებელი და ბევრი რამ ისეთი, რასაც ვახტანგს არ აჭმევდნენ.

ერთხელ მოუსვენარი ვახტანგი პაპას მაგიდას მიუჯდა და კინაღამ ღვინით სავსე ჭიქა წაუქცია.

პაპამ ფრთხილად აიყვანა ბავშვი და უთხრა:

— ჯერ შენთვის ადრეა უფროსებთან სადილის ჭამა, როცა ჩემსავით წვერულვაშიანი იქნები. მაშინ მე და შენ ერთად ვისადილებთ და ღვინოსაც ერთად დავლევთ! ახლა კი წადი და ითამაშე!

ვახტანგს არ იამა ეს და გაცუნცულდა თავის ოთახისაკენ.

მეორე დღეს, სამსახურიდან დაბრუნებისას, პაპას მაგიდასთან ნიღაბიანი ვახტანგი დაუხვდა.

თოვლის პაპის გრძელი თეთრწვერულვაშიანი ნიღაბი გაეკეთებია სახეზე და დარბაისლად ეჭირა თავი.

პაპას გაეცინა.

— გაუმარჯოს ბერიკაცს! — მიესალმა პაპა ვახტანგს.

მერე სუფრაზე მიიწვია, ყველაფერს სთავაზობდა, მაგრამ ნიღაბი უშლიდა და ვახტანგმა მაინც ვერაფერი ვერ იგემა.





## ამანათი

მამამ ბავშვებს აგარაკზე ამანათი გამოუგზავნა. რა არ იყო ამ პატარა ყუთში!

სახალათეები, მოქარგული პერანგები, ფერად-ფერადი წინდები, ტყავის ლამაზი ფეხსაცმელები და შოკოლადი.

დედამ ყველას თავისი კუთვნილი გადასცა და მერე თქვა:

— აბა, შოკოლადი თანაბრად გავანაწილოთ, რომ ყველას თითო ფილა ერგოს!

— არა! ბებოს მეტი უნდა მისცეთ! — წამოიძახა უცბად ყველაზე უმცროსმა ბიჭიკომ.

— რატომ, ბიჭიკო! მე რა თქვენზე მეტი მადა მაქვს, თუ ყველაზე უფროსი რომ ვარ? — შეეკითხა გაკვირვებული და კმაყოფილი ბებო.

— მე ვიცი შენი ჩვეულება! შენ შოკოლადს ჩემთვის შეინახავ და შენ არაფერი დაგრჩება...—წუხდა პატარა ბიჭიკო.

ყველას გაეცინა და ზედმეტი შოკოლადი სულ ბებიას გადასცეს.



AKAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LI
№



## შენებურად

ნონას მამა მწერალი იყო. მოთხრობების კრებულს ამზადებდა დასაბეჭდად.

მაგიდაზე უამრავი ქაღალდი გაეშალა, ათვალიერებდა, ასწორებდა, ანაწილებდა და რაც არ მოსწონდა, ჭმუჭნიდა და კალათაში ჰყრიდა.

უცბად ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა.

ნონას მამა გაერთო ლაპარაკით. ნონა კი აძვრა სავარძელზე, მისწვდა ქაღალდებს, დაითრია, დაჭმუჭნა და კალათაში ჩაუძახა.

მამამ მიატოვა ტელეფონი და გამალებული სწვდა ნონ[ის].

— ეგ რა ამბავია! რამდენჯერ უნდა დაგიშალოს ადამიან[მა], ჩემს მაგიდას არ მიეკარო! — მრისხანებდა მამა.

— მამიკო! შენც ხომ ასე აკეთებდი! — იმართლებდა თავს [ნ]ონა, — მე „შენებურად“ გავაკეთე. დაგეხმარე. მერე რა მოხდა?!





## ცუდი ზღაპარი

დეიდა ნინო უამბობდა თავის დისწულს ნიკოს:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი. გაიკეთა ტყეში ბუდე და ბარტყები გამოჩეკა. მელამ გაიგო ეს, მიცუნცულდა ხესთან და დაიწყო:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო ბატონო, მელაო!
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებო.
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოსა, წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცაო.

აიღო ჩიტმა და ერთი ბარტყი გადაუგდო. მელიამ შეჭამა ბარტყი და ისევ მოცუნცულდა.

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!...“

ნიკოს ალმური აუვიდა. გაბრაზდა. წამოხტა და თვალები ცრემლებით აევსო.

— რა იყო, ნიკო? რა დაგემართა? — შეწუხდა დეიდა ნინო.

— რად მინდა მაგისთანა ზღაპარი? აღარ მიამბო! ეგ როგორი დედა ყოფილა? მელა ჯერ ხეზე არ ასულა, არც ხე მოუჭრია და ჩიტმა თავისი შვილი შესაჭმელად გადაუგდო. რატომ არ მოიცადა, რატომ! მელა როგორ მოსჭრიდა ხეს!

ღელავდა აცრემლებული ნიკო.





## თითებს ნუ ილოკავ!

პატარა ნუგზარს ძალიან ცუდი ჩვეულება დასჩემდა. სალოკი თითი მუდამ პირში ეჭირა.

— ნუგზარ, ნუ სჩადიხარ მაგას! არ ვარგა, შვილო! — არიგებდა ბებო.

— ნუგზარ, ხელებს შეგიკრავ! — ემუქრებოდა ძმა.

— ნუგზარ, გინდა ჩემი თითიც გათხოვო? — დასცინოდა და.

მაგრამ ბავშვს ყველაფერი ავიწყდებოდა: დარიგება, რჩევა, მუქარა, დაცინვა.

თუ ნუგზარი მარჯვენა ხელით რამეს აკეთებდა, მარცხენა სალოკი პირში ეჭირა. თუ ვინმე წიგნს უკითხავდა ან რამეს უამბობდა, მაშინ მარჯვენა სალოკი პირში ჰქონდა.

ერთ ღამეს დედამ მძინარე ნუგზარს თითებზე ფრთხილად ქინაქინი წაასცხო.

დილას არხეინად წამოდგა ნუგზარი და ჩვეულებისამებრ თითი პირისაკენ გააქანა.

ძალიან გაუმწარა ენა. მიხვდა ყველაფერს და ატირდა.

და-ძმა კი დასცინოდნენ — „სალოკმა თითმა გაამოს“. ის იყო და ის.

ამის შემდეგ ნუგზარი გადაეჩვია და სამუდამოდ დაიხსომა ქინაქინის გემო.





## გემრიელი ხილი

ბავშვები აგარაკზე იყვნენ. ღამის მატარებლით პაპა უნდა ჩამოსულიყო ქალაქიდან.

ბებიამ სადილის დროს თქვა:

— ამაღამ პაპა ჩამოვა! რაც უფრო გემრიელი ხილია, პაპას შევუნახოთ, რომ ჩამოვა, იამებაო—და კალათა კარადაზე დადო.

პატარა მარიკო ოთახში იყო.

როდესაც ყველანი ეზოში გავიდნენ, მარიკო აძვრა სკამზე, ამოიღო კალათიდან საუკეთესო ქლიავები და ატმები, ყველას გემო გაუსინჯა და ფრთხილად ცალკე დაალაგა.

უცბად ბებია თავს დაადგა.

— მარიკო! ეგ რა ამბავია! რად გაგიფუჭებია ამდენი ხილი?!

— ბები, მე გავსინჯე, რომელიც უფრო ტკბილია და გემრიელი, პაპასათვის გადავარჩიე.

გულუბრყვილოდ უპასუხა მარიკომ.





# დღეობა

ზივის დაბადების დღე იყო. ხუთი წელი შეუსრულდა.

დედამ ნაირ-ნაირი ნამცხვარი დაუმზადა, გოზინაყიც გაუკეთა, საბავშვო ბაღიდან ტოლ-ამხანაგები დაუპატიჟა.

მთელი კვირა დღე მხიარულად გაატარეს ბავშვებმა.

ბევრი საჩუქარიც მოუტანეს გივის.

მამის მაგიდაზე არც კი ეტეოდა! ფერად-ფერადი ფანქრები, საღებავები, ჭრელი დიდი ბურთი, თეთრი თუნუქის ნამდვილი გემი მაღალი მილით და წითელი ბაირაღით! დასურათებული წიგნები და ცელქი, მოუსვენარი ბზრიალა!

ბავშვებმა ძალიან მხიარულად გაატარეს დრო. ისინი გვიან დაიშალნენ.

გივის, როგორც იყო, დაეძინა.

მეორე დღეს ბავშვმა ტირილით გაიღვიძა.

— გივი, რა იყო, რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ, ჩემო ბიჭიკო? — შეეკითხა შეშინებული დედა და მაჯა გაუსინჯა.

— მე მინდა, რომ ყოველდღე ჩემი „დღეობა“ იყოს. — მიუგო გივიმ.





## მარინას მამა

ხუთი წლის მარინას თავისი მამა არ ახსოვდა და არც შეიძლებოდა დახსომებოდა: ოთხი წელიწადი მამა ფრონტზე იყო.
მხოლოდ სურათით იცნობდა.
კედელზე მამის გადიდებული სურათი ეკიდა.
მარინას უხაროდა, რომ ასეთი ლამაზი მამა ჰყავდა.
ყოველდღე უალერსებდა: „ჩემო მამიკო! მამიკო!“
ომი დასრულდა.
მამა მკერდდამშვენებული დაბრუნდა.
ბედნიერი და გახარებული მივარდა მარინას, ხელში აიტა-

ცა და კოცნა დაუწყო.

მარინა გაკვირვებული უცქეროდა.

— მარინა! ეს ხომ შენი მამაა! ნუთუ არ გიხარია? — შენიშნეს შინაურებმა.

— მიხარია... სხვანაირი ქუდი რად გახურავს. ფაფახი სჯობია, — უპასუხა მარინამ და უკმაყოფილოდ მიუთითა სურათზე.

— ის უფრო ლამაზია!





## ბნელი ღამე

უმთვარო ბნელი ღამე იყო. ქარი მრისხანედ ზუზუნებდა ტყეში.

ექვსი წლის პატარა ოთარი, ბუხრის პირად ჩაფიქრებული იჯდა და ცეცხლს უცქეროდა. ოთარის მამა ფრონტზე იყო წასული.

— ბიჭო, რატომ არ დაიძინებ?—შეუტია დედამ.—რას ჩაფიქრებულხარ ბერიკაცივით?

— დედი! ძალიან ბნელი ღამეა და მეშინია ფაშისტები მამას არ მიეპარონ...—მიუგო ნაღვლიანად ოთარმა.

— რატომ არ გინდა პირიქით წარმოიდგინო, რომ ჩვენე-ბი ისარგებლებენ ბნელი ღამით და მტერზე თავდასხმას მოახ-დენენ?—შეეკითხა დედა.

— ეგ როდი გამახსენდა! — გაეღიმა ოთარს და დაწყნარე-ბული ჩაწვა ლოგინში.





## „სუვოროვი“

ნოდარს ძალიან უყვარს სარდლობანას თამაში. ჩამოიკიდებს მხარზე ხის ხმალს და მთელი დღე ებრძვის უხილავ და უჩინარ მტრებს.

— აბა, იერიში!

— მარჯვნივ! მარცხნივ!

— ისროლეთ!

ოთახში იმის მეტი არავინ არის! ხმალი ტრიალებს, ჩეხავს ხან ტახტს, ხან მუთაქას, ხან სკამს, ხან კარებს.

თვითონ ნოდარს თავზე სხვადასხვა სამკაული ხურავს: ხან ჩაფხუტი, ხან დოლბანდი, ხან ქაღალდის წოწოლა ქუდი, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის სარდლად მიაჩნია თავისი თავი.

— ბიჭო, მოისვენე, გული ამოგივარდა! სახლი თავზე ნუ ჩამოიცვი,—აწუნარებდა დედა.

— დედა! ნუთუ ვერ ხედავ?... ეს სახლი კი არ არის! ქუდია... ქუდი... ნუთუ ვერ ამჩნევ... მე „სუვოროვი“ ვარ!—ბრაზობდა პატარა ნოდარი.



ზურიკომ ყური მოჰკრა მშობლების საუბარს, მიირბინა მამასთან და უთხრა:

— ჩემო მამიკო! დღეს საბავშვო ბაღში ნუ გამგზავნით! შენი სათვალეები გამიკეთე, შენი ქუდი დამახურე, მე წავალ და შენს მაგივრად ჩავაბარებ შენს ქაღალდებს.





## ჩემი მამაც!

საბავშვო სახლში უმთავრესად უდედმამო ბავშვებია.

ძალიან იშვიათად თუ ვისმეს ჰყავს დედა, ან მამა.

ქერა გოგონა ზინას მამა მფრინავია.

ფრონტზე იყო წასული. ზინას დედა არა ჰყავდა და მამამ დროებით ზინა საბავშვო სახლს ჩააბარა.

ერთხელ ზინას მამა მივლინებაში იყო. თბილისში გამოფრინდა და წავიდა თავისი გოგონას სანახავად.

ბავშვები ცნობისმოყვარეობით უცქეროდნენ ორდენებით შემკულ, მაღალ, ახოვან მფრინავს.

ორი წლის ზინას უთხრეს: „ეს შენი მამაა!“

გაეხარდა ზინას და გულზე მიეკრო.

სხვები უცქეროდნენ. ერთმა, უფრო თამამმა ბიჭიკომ მიირბინა და ზინას მამას მუხლზე მოეხვია.

— შენ ჩემი მამაც ხარ!

ზინას მამამ გაუღიმა, დასწვდა ბავშვს, დაისვა მუხლზე და აკოცა.

— ჩემი მამაც! ჩემი მამაც! — გაისმა ყოველი მხრიდან და ზინას მამას თხუთმეტიოდე ბავშვი შემოესია.

მფრინავმა გულიანად გადიხარხარა და ყველას სათითაოდ მიუალერსა, თავის ორდენებს უჩვენებდა და ზინასათვის მოტანილი ტკბილეული ყველას თანაბრად გაუნაწილა.

გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდნენ ბავშვები მფრინავს და უხაროდათ, რომ ასეთი „მამა“ ჰყავდათ.





## ექვსი წლისა ვარ!

— ეს როგორ დაგვემართა? მაიას ბილეთი არ ვუყიდეთ! იმოდენა ხალხი იყო რიგში, სულ თავგზა დამებნა... თუ ავი კონტროლიორი შეგვხვდა, შარს მოგვდებს....

წუხდა მაიას დედა.

— არაფერია!—ანუგეშებდა გამდელი, — როდესაც ჩამოივლის ბილეთების გასასინჯად, მაიას კალთაში ჩავისვამ და ვეტყვი, რომ ხუთი წლისაა...

მოახლოვდა ბილეთების გასინჯვის დროც.

მაია ძალიან ღელავდა.

— ბავშვისათვის ბილეთი გაქვთ?—შეეკითხა მრისხანე, სათვალებიანი კონტროლიორი და მაიას სათვალების ზემოდან ახედ-დახედა.

— ამას ბილეთი არ ეკუთვნის, ხუთი წლისაა,—ერთი ამოსუნთქვით წარმოსთქვა გამდელმა.

— მეკუთვნის! აბა, რად სტყუი? — შენიშნა მაიამ.—მე დიდი ხანია ექვსი წლისა ვარ!

გამდელი გაწითლდა.

კონტროლიორს გაეცინა. თავზე ხელი გადაუსვა მაიას.

— ყოჩაღ, გოგონა! ტყუილი რომ არ გვითხარი, ახლა უბილეთოდ წაგიყვანთ!!

— მომეჭრა თავი და ეს არი!—წუხდა გამდელი.

მგზავრები კი უცქეროდნენ გოგონას და იცინოდნენ.





## შავი თვალები

— ოხ, როგორ ეჯავრება ინას ხელების დაბანა!

მთელი დღე გაისმის დედის საყვედური:

— რა ამბავია, ინა! რატომ ხელებს არ დაიბან, რად უნდა გქონდეს შავი ხელები, სირცხვილია! — მაგრამ ინა, ისეა გართული თამაშით, რომ არაფერი არ ახსოვს: არც ჭამა, არც სმა, არც ხელის დაბანა.

დედა ისევ აგონებს:
— ინა, რას გიგავს ხელები, სულ ჩაგიშავდა!
— დედა, შენ ძალიან შავი თვალები გაქვს და ყველაფერი შავად გეჩვენება!
უმტკიცებს არხეინად ინა.





## ტყვილი ვთქვი!

ქუქუნას ერთხელ ნაცნობები შეხვდნენ ქუჩაში, მიუალერსეს და ჰკითხეს:

— ქუქუნა, რამოდენა გაზრდილხარ?! რამდენი წლისა ხარ?

ქუქუნა უცბად შეკრთა. დაიბნა და გაწითლდა.

ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— ოთ-ხი-სა!

დედას არ უნდოდა ბავშვის შერცხვენა და არაფერი არა თქვა.

მაგრამ, როცა შინ დაბრუნდნენ, დედამ უსაყვედურა:

— ქუქუნა! ეგ როგორ დაგემართა, რომ შენი წლოვანება დაგავიწყდა? შენ ხომ უკვე ხუთი წლისა ხარ!

ქუქუნა გაწითლდა.

ღამე, როდესაც დაწვა დასაძინებლად, ოთახიდან მოისმა ქუქუნას მწარე ტირილი.

— ქუქუნა, რა დაგემართა?—შეწუხებული შეეკითხა დედა

— მე მრცხვენია, რომ დღეს ტყუილი ვთქვი! — ქვითინებ-და ქუქუნა.





## „ერთ ადგილზე!“

— აბა, ერთი მითხარით, რა ეტყობა ჩვენს ბინას? რისთვის ვალაგებ, ისევ ყველაფერი არეულია?! — უჯავრდებოდა შვილიშვილს ბებია თამარი.

— მთელი დღე შენ გინდები! საქმე ვერ გამიკეთებია! სად წაიღე სკამები?

რამაზმა სკამები თურმე ააყირავა, მთად დააყენა და ზედ აპირებდა ასვლას.

თამარი წაეტანა, ხელი უნდა შეეშალა, მაგრამ ვერ მოასწრო რამაზის დაჭერა.

რამაზი შეხტა. სკამებმა იგრიალეს, დაცურდნენ და ცელქი რამაზი იატაკზე გაიშხლართა.

— აი, რომ არ დამიჯერე! გეტკინა, შვილო, თავი? ხომ არაფერი დაიშავე?— წუხდა ბებია თამარი.

— არა! არა! გამიშვი,— ეუბნებოდა თავისი მარცხით დარცხვენილი რამაზი და სხვანაირად აწყობდა წაქცეულ სკამებს.

— ახლა მატარებელს გავაკეთებ!—არ ისვენებდა რამაზი.

ბებიაც დაიხარა და წამოაყენა რამდენიმე სკამი.
რამაზმა ისინიც ვაგონებად გაამწკრივა.
თვითონ პირველ სკამზე დაჯდა და დაიწყო კივილი:
— უ-უ-უ-უ!
გაბეზრდა თამარი და გაუჯავრდა:
— ყურთასმენა აღარ არი! მოისვენე, რამაზ! არ შეიძლება დაჯდე და ერთ ადგილზე იჯდე!
— ბები, არ მიკვირს რას ამბობ? შენ სულ ეგრე იცი... ტყუილად ჯავრობ... გინდა სათვალე მოგიტანო? აბა, როგორ შეიძლება, რომ პატარა რამაზი ორ ადგილზე იჯდეს?





## ფისო დაგვეხმარა!

ბავშვები ცელქობდნენ. უნებლიეთ მაწვნის ქილას ხელი წაჰკრეს და ხალიჩაზე პირქვე მოაქციეს.

— ვაიმე! — წამოიძახა გუგულიმ, — ახლა ბებია შემოვა და როგორ გაგვიჯავრდება?!..

— ხალიჩაც გაფუჭდება, რა ვქნათ! — წუხდა იმისი უფროსი ძმა ალეკო.

ბავშვების ხმაურზე კატამ გამოიღვიძა. გაიზმორა. თათები ცხვირზე მიისვ-მოისვა და ერთი გემრიელად დაამთქნარა.

— მოდი, ფისო! მოდი „ბემბი“! მოდი, თუ ძმა ხარ, მოგვეხმარე. — შეევედრნენ კატას გუგული და ალეკო.

გუგულიმ კატას დასტაცა ხელი, მიათრია დაღვრილ მაწონთან და ცხვირი შიგ მაწონში ჩააყოფინა.

კატას ჯერ თითქოს არ იამა, ცივად რომ მოხვდა მაწონი მაგრამ ენით რომ გასინჯა, კმაყოფილი დარჩა და ვიდრე სულ პირწმინდად არ ალოკა, თავი არ დაანება.

გუგული და ალეკო იდგნენ და გულიანად ხარხარობდნენ. და ისე ამაყობდნენ თავიანთ „ბემბის“ საქციელით, რომ დაავიწყდათ სრულებით ბების გაჯავრება და ორივენი გაიქცნენ ბებიასთან მისახარებლად:

— ბები, იცი ჩვენი „ბემბი“ ისეთი ჭკვიანია, ისეთი, მაწონი დავაქციეთ, და შენ რომ არ გაჯავრებულიყავი, დაგვეხარა და სულ თვითონ ალოკა...





## მიშიკოს ცხენი

— რა იქნა ჩემი გასაღები? ერთი კვირაა დავეძებ? — ჯავრობდა დიდედა.

— საკვირველი ამბავია, ჩემი სათითე ვინ აიღო? ან სათვალე სად გაქრა? — წუხდა დედა.

— ვინ აიღო, ვინ, ჩემი ფანქრები? — ბრაზობდა გია.

— რამდენჯერ უნდა გითხრათ, ბავშვებო, ჩემს მაგიდას არ მიეკაროთ! — უსაყვედურა მამამ, — გუშინ საშლელი აიღეთ,

დღეს კალმისტარი ვეღარ ვნახე, ხვალ, ალბათ, ფანქარს მომ-
ტაცებთ, ეს რა წესია?! სად გაგონილა? — განაგრძობდა მამა.

— გია, ალბათ, სულ შენი ოინებია! — მიმართა მამამ უფროს ვაჟს გიას.

— რას ამბობ, მამა! მე თვითონ გამწარებული დავეძებ ფერად ფანქრებს. ალბათ, მიშიკომ აიღო! — გადააბრალა გიამ უმცროს ძმას მიშიკოს.

— მიშიკოს რად უნდა ფანქრები?! — წაესარჩლა პატარას დიდედა.

სამი წლის მიშიკო გატრუნული იჯდა და ხმას არ იღებდა.

მაისის დღესასწაული ახლოვდებოდა.

დიასახლისები ბინის დასუფთავება-დალაგებას შეუდგნენ და ბავშვების საკუთნოს დალაგების ჯერიც მოვიდა.

დიდედა მიშიკოს ყურებმოგლეჯილ ცხენს წააწყდა. ცხენი ბნელ კუთხეში იდგა მოწყენილი. უნაგირი გვერდზე მოჰქცეოდა, კუდის ძუა და ფაფარი გასცვივნოდა. ერთი ფეხიც დამოკლებოდა და სამ ფეხზე ქანაობდა.

ცხენს რომ ხელი წაატანეს, ცხენიდან ჟღარუნის ხმა მოესმათ.

გაოცდა დიდედა. მიშიკოს დედას დაუძახა:

— კატო, მოდი ერთი მიშიკოს ცხენი ნახე. მგონი ჩემი გასაღებები ამან ჩაყლაპა!

კატოს გაეცინა.

გამოათრიეს კუთხიდან ცხენი. მიშიკომ რომ გაიგო, ქვითინით დაეცა, გადაეფარა ზედ და არავის ანებებდა.

გიამ ძალით წაართვა, უნაგირი ახადა და რა არ აღმოჩნდა ცხენის სტომაქში: დიდედას გასაღებები, დედას სათვალე-

ბი და სათითე, მამას დანა, კალმისტარი, სახაზავი, ხელთათმანები, საშლელი!

— მიშიკო! რად გვიმალავდი? — შემოესივნენ ყველანი ბავშვს.

— მე მინდოდა მაღაზიის გახსნა!—ამბობდა ატირებული მიშიკო.





## „ამდენი ბევრი“

პატარა ცქრიალა თამრიკო პირველად იყო ზღვაზე. განცვიფრებული უცქეროდა თამრიკო ტალღების მიმოქცევას, უსმენდა წყლის ხმაურს, აგროვებდა კენჭებს, ნიჟარებს, ქვიშაზე ცურაობდა და ძლიერ კმაყოფილი იყო!

მაგრამ, როცა დედამ დააპირა თამრიკოს საბანაოდ ზღვაში შეყვანა, გოგონა შეკრთა, დედას ხელებზე მოეხვია და მუდარით უთხრა:

— დედიკო! აბა, მე ასეთი პაწაწკინტელა ვარ და რად მინდა „ამდენი ბევრი“ წყალი!.





# კორჩოტა

ერთ პატარა ბიჭიკოს მეტსახელად კორჩოტა დაარქვეს.

მისი ნამდვილი სახელი ვახუშტი იყო.

ძალიან სწყინდა ბიჭიკოს, რომ სახელს უმახინჯებდნენ, მაგრამ უფროსები ისე შეეჩვივნენ „კორჩოტას“ ძახილს, რომ სხვანაირად ბავშვის დაძახება არ ეხერხებოდათ.

— კორჩოტა, გენაცვალე, წყალი დამალევინე!

— კორჩოტა, არ წაიქცე, ცხვირ-პირი არ დაიმტვრიო!

— კორჩოტა, როგორ მრგვალი კუნძივით მიგორავ!

ბრაზობდა ბავშვი.

მამა ფრონტზე იყო წასული.

— აი, მამაჩემი რომ ჩამოვა, ის ნებას არ მოგცემთ ეგრე დამიძახოთ!

— ბიჭო, თვითონ მამაშენმა დაგარქვა ეგ სახელი და უფრო იმიტომ გეძახით,—იცინოდა დედა.



## სულ ერთია!

ელისოს მაგრად ეძინა. დედა ფეხაკრეფით დადიოდა, რომ ბავშვს არ გაღვიძებოდა.

მაგრამ ელისომ უეცრად ტირილით გაიღვიძა. ბავშვი შეშინებული იყო, თვალებს აცეცებდა და ცხარე ცრემლებს ღვრიდა:

— რა იყო, ელისო? რა დაგემართა? სიზმარში ხომ არაფერი ნახე?—შეეკითხა აღშფოთებული დედა.

— ვნახე.

— რა ნახე? არ გახსოვს?

— მახსოვს.

— აბა, მომიყევი. რა იყო, რომ შეგაშინა?

— მე... მე ვნახე... რომ მოსკოვში მივდიოდი.

— მერე, მანდ რა არის საშიში? პირიქით, უნდა გაგხარებოდა.—გაეცინა დედას.

— მეც მიხაროდა! მაგრამ... მერე... ქუჩაში... ბევრი, ბევრი ხალხი იყო... მე დავიკარგე... და შენ ვეღარ გნახე...

და ელისომ უფრო უმატა სლოკინს.

— მოიცა, ჩემო გოგონა! ახლა ხომ გამოერკვიე, ხომ ხედავ სინამდვილეში არ მომხდარა, რომ ჩემთან ხარ, ახლა რაღა გატირებს?—უალერსებდა დედა.

— სულ ერთია! სულ ერთია! თუნდ სიზმარში იყოს, თუნდ მართლა: მე ხომ შემეშინდა. - არ ცხრებოდა პატარა ელისო და ქვითინებდა.





## პირველი წერილი

შვიდი წლის სოლიკომ წერაც იცოდა და კითხვაც.

სულ ენატრებოდა წერილის დაწერა.

მაგრამ ვისთვის უნდა მიეწერა? დედა სულ თავს დასტრიალებდა. მამა სამსახურის შემდეგ ყოველთვის ეხუმრებოდა, ელაპარაკებოდა და ბევრ რამეს უამბობდა გარეულ ცხოველებზე, სხვადასხვა ქვეყნებზე და უცხო ბავშვებზე. საბავშვო ბაღის ბავშვებსაც ყოველდღე ხედავდა.

სოლიკოს ენატრებოდა მამა სადმე გაეგზავნათ მივლინებაში, რომ წერილი მიეწერა.

ერთხელ სოლიკომ მიმართა თავის მამას:

— მამა, იცი, ისე მინდა, ისე მინდა, რომ სადმე გაგგზავნონ.

მამას ეწყინა.

— რატომ ბიჭო! რას გიშავებ. თავიდან რად მიშორებ?

— რომ ნამდვილი წერილი მოგწერო: მისამართით და მარკით!—მიუგო სოლიკომ.





## დედას რომ არ შესცივდეს!

პატარა ირიკოს დედა სამსახურის საქმეებზე მივლინებაში იყო წასული.

გოგონა დიდედასთან დარჩა. ხშირად ესმოდა ირიკოს დიდედას ოხვრა და წუხილი. ბავშვიც ჩაფიქრდებოდა ხოლმე.

ერთ დღეს ცუდი ამბავი მოვიდა.

— დედა ავად გამხდარა, ძალიან ავად!—უთხრა დიდედამ ირიკოს და თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა.

— ხომ ჩამოვა?—შეეკითხა შეშინებული ირიკო.

— ჩამოვა, ჩამოვა! უეჭველად ჩამოვა,—ანუგეშა დიდედამ.

— ოღონდ ოთახი მოვუმზადოთ, ლოგინი დავახვედროთ, ყველაფერი სუფთად და ლამაზად, როგორც დედას უყვარს.

დიდედა და შვილიშვილი შეუდგნენ ფუსფუსს. ოთახი დაასუფთავეს, ლოგინი გაასწორეს.

— ცივა, ძალიან ცივა ჩვენსა! ვაითუ აქ უფრო გაგვიცივდეს, — წუხდა დიდედა, — ძალიან ცოტა შეშა გვაქვს და რა გვეშველება?

ირიკოც დანაღვლიანდა, დაფიქრდა.

გავიდა თითქმის ერთი კვირა.

როგორც იყო, ჩამოიყვანეს დედა. ირიკოს ჟრუანტელი უვლიდა. აცახცახებული დედას მიუახლოვდა და აკოცა.

დედა პირდაპირ საწოლისაკენ წაიყვანეს.

დიდედამ საბანი ასწია და სახტად დარჩა:

— რა ვქნა! ჩემი ხელით გავასწორე. ქათქათა თეთრეული დავაფინე. ვის დაუჭმუჭნია? ალბათ კატა თუ შეძვრა, ის არ დასაყენებელი ისა! — ჯავრობდა დიდედა.

— არა, ბები! მე ვიყავი... დედას რომ არ შესცივნოდა, მე ყოველდღე, ჩემი ხელებით ვუთბობდი ლოგინს... — ძლივს წარმოსთქვა ირიკომ და ცრემლები გადმოსცვივდა. ავადმყოფი დედა ხელმეორედ დაიხარა ბავშვისაკენ და ხელები დაუკოცნა.

— აბა, ირიკოს ხელებით გამთბარი ლოგინი, უეჭველად მომარჩენსო, — იღიმებოდა ბედნიერი დედა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ზარმაცი მედეა

მედეას სწავლა არ უყვარდა.

რამდენჯერმე სცადა დედამ ანბანი ესწავლებინა, მაგრამ ამაოდ.

მედეას გულისყური სათამაშოებთან იყო.

დედამაც დროებით თავი მიანება.

ერთხელ მედეას უფროსი და ნათელა გაკვეთილებს ამზადებდა; ჩუმად იჯდა და წერდა.

მედეა არ უსვენებდა. სათამაშოდ ეწეოდა.

— მედეა, ნუ მიშლი! მედეა, თავი დამანებე! — შეუტია ნათელამ.

— რასა წერ?— არ უსვენებდა მედეა.

— რასა ვწერ და იმას, რომ მედეა მაიმუნია!



## ვინ უფრო გიყვარს?

თინა და ირა ჩააცივდნენ თავის დიდედას.

— დიდედა! გვითხარი,, რომელი უფრო გიყვარს—მე, თუ თინა?—ეკითხებოდა ირა.

—დიდედა! გვითხარი, ვინ უფრო გიყვარს—მე, თუ ირა?—ეკითხებოდა თინა.

დიდედა იღიმებოდა.

· ორივე!

— მაინც რომელი?—არ უსვენებდნენ გოგონები.

— ერთიც და მეორეც!

მაგრამ ბავშვებს ეს პასუხი არ აკმაყოფილებდათ.

— მაშ კარგი! აი, ჩემს თვალებში ჩაიხედეთ და ვის სახესაც დაინახავთ, ის უფრო მეყვარება.

ჯერ თინა მივარდა, ყელზე ხელებით შემოეხვია და თვალებში ჩააშტერდა. როგორც იყო, თავისი თავი დაინახა და ძალიან ეამა.

ირას რომ არ სწყენოდა, არაფერი გაუმხილა.

მერე ირა ჩაუჯდა კალთაში. ახლა იმანაც ჩაიხედა დიდედას თვალებში, ჩაიცინა და ისიც კმაყოფილი დარჩა.





## „ხვალ მიყვარს“

ოთხი წლის პატარა ნუნუს ძალიან უყვარს მეზობლის გოგონა ლეილა.

ლეილა ნუნუზე ოთხი წლით უფროსია.

ან რატომ არ უნდა ჰყვარებოდა? ლეილა წიგნებსაც უკითხავს, სურათებსაც უხატავს, ზურგზედაც აკიდებულს დაარბენინებს ოთახებში.

ერთხელ ნუნუმ თავისი ოთახის ფანჯრიდან დაინახა, რომ ეზოში ლეილას ბავშვებმა ფეხი გამოსდეს და წააქციეს. ლეილა რომ გარეთ ტიროდა, ნუნუ ოთახში იცრემლებოდა.

— დედა! ლეილა ტირის! ტირის! — წუხდა ნუნუ.

დედამ გააღო ფანჯარა, ლეილას დაუძახა, შემოიყვანა და მოუალერსა.

ლეილამ ცრემლები შეიმშრალა და გაუღიმა პატარა ნუნუს.



## ლამარას მადა მოემატა!

— ლამარას მადა მოემატა! — მიახარა დედამ სამსახურიდან დაბრუნებულ მამას.

— წარმოიდგინე, ეს ერთი კვირაა, ვამჩნევ, რომ პურს ატანს საჭმელს! დღეს ლამარამ თვითონ მომთხოვა კარაქიანი პური და ყველი და მანამ მიმოვიხედე, უცბად გააქრო, — უამბობდა აღტაცებით დედა.

მშობლები გახარებულნი იყვნენ. მამამ ლამარა კინოშიც წაიყვანა. მხიარული სურათი აჩვენა და შეჰპირდა, რომ სამაისოდ საბავშვო რკინიგზას აჩვენებდა, ასეირნებდა, ფუნიკულიორით მაღლა მთაზე აიყვანდა.

ლამარა კმაყოფილი იყო.

ერთხელ დედამ თვალი მოჰკრა, რომ ლამარამ პურის ყუა წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო, მერე კიბეზე სასწრაფოდ ჩაირბინა

და კიბის ქვეშ მწოლარე მეზობლის ძაღლს გიშერას მიუა-
ლერსა.

— ჩემო გიშერა! გიშერა! მარტოკა ხარ! არავინ არ გეხვე-
წება: „ჭამე, ჭამე და კინოში წაგიყვანო“, არც დიდა გყავს, არც
მამა, შვილები კი გწოვენ და გწოვენ! როგორ გამხდარხარ,
ჩემო გიშერა! თუ არა სჭამ, მოკვდები, გესმის, მოკვდები.

გიშერას თითქოს ესმოდა ბავშვის სიტყვები, შესცქეროდა,
ეკმუტუნებდა და მადლობის ნიშნად კუდს ათამაშებდა.





# ტყის დღე

კვირა დღე იყო. დიდი სიხარულით მიდიოდნენ ბავშვები ტყის ფერდობზე.

სულ მაღლა, მეჩხერ ადგილზე გამზადებული იყო ორმოები ფიჭვის ნერგების დასარგავად და კვლები ფიჭვების დასათესად.

როდესაც ბავშვები მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, ძია სერგომ განუმარტა ბავშვებს როგორ უნდა დათესვა და დარგვა.

— ჯერ გავსინჯოთ შარშანდელი ნათესები. სადაც არ ამოსულა თესლი, მეორედ უნდა დაითესოს, — მიმართა ბავშვებს ძია სერგომ.

ბავშვები გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას.

მხოლოდ პატარა, შავთვალა შოთა ჩაფიქრებული იჯდა და შესცქეროდა ტოლებს.

— შოთა, რა დაგემართა, დაიღალე თუ გეზარება მუშაობა? შეეკითხა ძია სერგო პატარას.

— ძია სერგო... იცი რა... მე არ მინდა დათესვა... იქნებ არ ამოვიდეს... ნერგი მომე და იმას დავრგავ, სჯობია,—უპასუხა დინჯად შოთამ.

სერგოს გაეცინა. აურჩია ყველაზე თამამად გაზრდილი ნერგი და ბავშვს მიაწოდა.

— აი, ამას იმ პირობით გაძლევ, რომ შენს სახელზე გაზარდო, ხომ მოუვლი?

შოთას თვალები გაუბრწყინდა, წამოხტა და ნერგი გამოართვა.

— როცა გვალვა იქნება, მე თვითონ წყალს ამოვიტან და მოვრწყავ, ოღონდ გაიზარდოს,—დაჰპირდა შოთა ძია სერგოს.





## მე თვითონ დავიძინებ!

ზაფხულის ცხელი საღამო იყო.

პატარა, ოთხი წლის ალიკო შამფურივით ტრიალებდა ლოგინში და ვერ დაეძინა.

ბებია საწოლის გვერდით იჯდა და ელოდებოდა ბავშვის დაძინებას.

მაგრამ ალიკო არ იძინებდა და სულ ტიტინებდა.

ბებია გაბეზრდა.

ბავშვს რომ ჩასძინებოდა, სიმღერაც წამოიწყო:

მოდი, ფისო, მოდი ჩვენსა,
დღეს უშენოდ ძლიერ მიჭირს!
რძეს მოგართმევ, ტკბილ ნამცხვრებსა,
დამიძინე ჩემი ბიჭი!

ალიკო განაბული იწვა.

ბებომ თანდათან უკლო სიმღერას.

მერე ფეხაკრეფით დააპირა ოთახიდან გასვლა, ეგონა, რომ ბავშვს უკვე ჩაეძინა.

მაგრამ ალიკომ, უცბად თავი წამოჰყო, ფუნთუშა ხელებით ლურჯი თვალები ამოიფშვნიტა და დინჯად წარმოსთქვა:

—ბები! ფისოს ნუ ეძახი! რძე და ნამცხვარი მე მომეცი და თვითონ დავიძინებ!



## სარჩევი

როგორ გავაგებინო? . . . . . . . . . . . . . . 2
„ბევრზე ბევრი“ . . . . . . . . . . . . . . 4
მანანა . . . . . . . . . . . . . . . . 6
ერთი თვალით . . . . . . . . . . . . . . 8
ბეჰემოთი . . . . . . . . . . . . . . . 10
შენიღბული გემი . . . . . . . . . . . . . 12
როცა წვერულვაშიანი იქნები! . . . . . . . . . 14
ამანათი . . . . . . . . . . . . . . . 16
შენებურად . . . . . . . . . . . . . . 18
ცუდი ზღაპარი . . . . . . . . . . . . . 20
თითებს ნუ ილოკავ! . . . . . . . . . . . 22
გემრიელი ხილი . . . . . . . . . . . . . 24
დღეობა . . . . . . . . . . . . . . . 26
მარინას მამა . . . . . . . . . . . . . 28
ბნელი ღამე . . . . . . . . . . . . . . 30
„სუვოროვი“ . . . . . . . . . . . . . . 32
მე წავალ . . . . . . . . . . . . . . . 34
ჩემი მამაც . . . . . . . . . . . . . . 36
ექვსი წლისა ვარ . . . . . . . . . . . . 38
შავი თვალები . . . . . . . . . . . . . 40
ტყუილი ვთქვი! . . . . . . . . . . . . . 42
„ერთ ადგილზე“ . . . . . . . . . . . . . 44

ფისო დაგვეხმარა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 46
მიშიკოს ცხენი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 48
„ამდენი ბევრი“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 51
კორჩოტა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 52
სულ ერთია! . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
პირველი წერილი . . . . . . . . . . . . . . . . . . 56
დედას რომ არ შესცივდეს! . . . . . . . . . . . . . . 58
ზარმაცი მედეა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 60
ვინ უფრო გიყვარს . . . . . . . . . . . . . . . . . 62
„წყალი მიყვარს“ . . . . . . . . . . . . . . . . . . 64
ლამარას მადა მოემატა . . . . . . . . . . . . . . . 66
ტყის დღე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 68
მე თვითონ დავიძინებ! . . . . . . . . . . . . . . . 70

რედაქტორი მ. ბურჯულაძე
მხატვარი მ. დაუშვილი
კორექტორი დ. სეფიაშვილი

*

გადაეცა წარმოებას 18/VIII-48 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 4¾. საავტორო ფორმათა რაოდ. 3. ანაწყობის ზომა 7×9. ქაღალდის ზომა 72×92. შეკვეთის № 1213. უე 01144. ტირაჟი 10.150.

ფასი 5 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობების საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა. ქ. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

**МАРИДЖАН**

ДЕТИ СОЛНЕЧНОЙ СТРАНЫ

(на грузинском языке)

Министерство Просвещения ГССР
Детюниздат
Тбилиси
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა